## თბილისის “დინამომ” გააუმჯობესა თამაში

სტალინგრადის “ტორპედოსთან” თბილისელებმა სასტიკი იერიშები განავითარეს. უკვე მე-6 წუთზე თოდრიას მიერ მოწოდებული ბურთი თავური დარტყმით გაიტანა ჯოჯუამ. მე-13 წუთზე ღოღობერიძემ აიძულა სტალინგრადელები თამაში კვლავ ცენტრიდან დაეწყოთ.

მეტად ლამაზი იყო პაიჭაძის გოლი. იგი სწრაფად გავიდა გარღვევაზე, ჩამოიტოვა რა გზაში ორი მცველი, მაგრამ მესამემ თბილისელი საჯარიმო მოედნის ხაზთან წააქცია. “დაზარალებულმა” ძლიერი დარტყმით გაგზავნა საჯარიმო ბურთი, რომელმაც კარის ზევითა კუთხეში ჰპოვა “თავშესაფარი”. ეს მოხდა 22-ე წუთზე. შესვენების შემდეგ რ. მახარაძემ (ამ დღეს იგი თამაშობდა მარჯვენა შუამარბის ადგილზე) თავით მეოთხე ბურთი გაიტანა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 14 წუთით ადრე ბელოუსოვმა (“ტორპედო”) ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო.

(ჩვენი სპეც. კორ.).

**“ლელო”, 19 მაისი 1950 წ.**